89 წელი თქვენთან ერთად!

89 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი.

გამოცემის საიუბილეო, 90-ე წელი!



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“

ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №8 (7061) 18 აპრილი 2022 წელი • Facebook გაზეთი თერჯოლა

24 აპრილი — იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა

აღდგომა—უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულია, რომელიც აღინიშნება ქრისტეს მკვდრეთით აღდგომასთან დაკავშირებით. აღდგომას წინ უძღვის 40-დღიანი მარხვა, საეკლესიო სამზადისი, აღსარება და ზიარება, ვნების კვირა. ქრისტიანთათვის ესაა ზეიმთა ზეიმი, აღმნიშვნელი მესიის მოვლინებისა, რაზედაც მოსეს ხალხი ეგვიპტის მონობიდან თავის დაღწევის შემდეგ ოცნებობდა, რასაც ბიბლიური წინასწარმეტყველნი ქადაგებდნენ და რაც ჯვარცმული ქრისტეს სახით განხორციელდა.

თავდაპირველად მხოლოდ ვნების დღეებს ზეიმობდნენ. მხოლოდ IV საუკუნეში მიეცა აღდგომის დღესასწაულს თანამედროვე სახე. ნიკეის პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ 325 წელს დაადგინა ზეიმის აღნიშვნა გაზაფხულის ბუნიობის მომდევნო კვირას, იუდეველთა პასექის დასასრულს, უთუოდ მისგან განცალკევებით და კვირის ბოლოს. ამდენად, აღდგომა მოძრავი დღესასწაულია და მას წლევანდელ წელს მართლამადიდებელი ქრისტიანობა 24 აპრილს აღნიშნავს.

ქრისტე აღსდგა მკუდრეთით სიკუდილითა სიკუდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინა ცხოვრების მიმნიჭებელი

(3 გზის).

ბრწყინვალე შვიდეული

☞8

სულთათანა

☞4,5

9 აპრილი—ჩვენი გოლგოთა და ამაღლება!

გმირთა პატივსაგებად

თერჯოლამ, ისე როგორც სრულიად საქართველომ პატივი მიაგო 9 აპრილს ტრაგიკულად დაღუპულთა ხსოვნას. ამ დღეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის

მერმა, ლაშა გოგიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა, მოადგილეებმა სხვა ხელმძღვანელ პირებთან, საზოგადოების და მოსწავლე-ახალგაზრდობის წარმომადგენლებთან ერთად 9 აპრილის მემორიალი გვირგვინით შეამკეს და პატივი მიაგეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნას.

გმირთა სულების მოსახსენებელი პარაკლისი გადაიხადა დეკანოზმა, მამა სპირიდონმა (ცქიფურიშვილი).

შეკრებილ საზოგადოებას მიმართეს ლაშა გოგიაშვილმა და გიორგი ბარათაშვილმა.

„ცხრა აპრილმა ჩვენს მეხსიერებაში—აღნიშნა ლაშა გოგიაშვილმა, ტკივილთან ერთად უდიდესი სიამაყის განცდა დაგვიტოვა. 33 წლის შემდეგაც, გვახსოვს და არც არასოდეს დავივიწყებთ, რომ იმ დღეებში ქართველებმა, როგორც არასდროს ერთად დგომა და ეროვნული ერთიანობის მიღწევა შეძლეს. მოვალენი ვართ ყოველთვის გვახსოვდეს და პატივს მივაგებდეთ 9 აპრილს დაღუპულ მამულისათვის თავგანწირულთა ხსოვნას“. შემდეგ ლაშა გოგიაშვილმა მშვიდობა და გამარჯვება უსურვა უკრაინას, სადაც აგრესორთა სისასტიკეს ადამიანები ეწირებიან.

მემორიალთან მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის აღსაზრდელებმა პერფორმანსი გამართეს...

იმავე დღეს მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა გოგიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი ბარათაშვილმა, გვირგვინებით შეამკეს გმირთა მეორიალი სოფელ ძევრში.

9 აპრილს დაღუპულ გმირთა პატივის მისაგებად ძევრში მემორიალთან მივიდნენ და ყვავილები მიიტანეს აგრეთვე ძევრის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა.

გავუთბოთ ერთმანეთს გულები...

9 აპრილს მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში გამართული ღონისძიება, რომელიც მთლიანად 1989 წლის 9 აპრილს მიეძღვნა, არის დასტური იმისა, რომ შეუძლებელია მამულისათვის, თავისუფლებისათვის მებრძოლთა და შეწირულთა დავიწყება. თითქოს ყველაფერი თქვა დიდი დატვირთვით, რუდუნებითა და სიყვარულით მომზადებულმა სცენამ, რაც იმ ავბედით დღეს გამთენიისას საბჭოთა კავშირის სამხედრო-სადამსჯელო ნაწილებმა მშვიდობიანი საპროტესტო აქციის მონაწილეებს თავს დაატეხეს. როცა მოშიმშილეებს, სანთლების შუქზე საქართველოს კეთილდღეობისა და თავისუფლებისათვის მლოცველებს ტანკებით, სასანგრე ნიჩბებითა და მომწამლავი ნივთიერებებით გადაუარეს:

მოკლეს, დაასახიჩრეს, დაწამლეს...

დიახ, თქვა ეს ყველაფერი სცენამ, ეკრანმა, ფოტოკოლაჟებმა თუ კინოკადრებმა, სადაც სიმბოლურად სანთლები ციმციმებდა მათი სულებისათვის, ნამუსრევი „სისხლის“ კვალიც რომ ეტყობოდა...

სცენამ დაიტია მამულს შეწირულთა ფოტოებიც, მოწოდებებიც, რომელიც იმ დღეების მთავარი საქმელი იყო...

და მაინც... მთავარი სათქმელი თქვეს ბავშვებმა დარბაზიდან, თქვეს ლექსებით, მოგონებებით, სიმღერებით... თქვეს ღირსეულად, ომახიანად, ჟინით და კიჟინით, იმედიანად... რომ „ისე არ მოკვდება საქართველო“...

დიახ, 9 აპრილი ისტორიაში დარჩა და მუდამ დარჩება, როგორც სიმამაცის, თავისუფლების, ქართული სულის გამოღვიძებისა და თავგანწირვის სიმბოლო...

დასასრულს ცენტრის ხელმძღვანელმა ნინო ოქრუაძემ მადლობა გადაუხადა ღონისძიების ინიციატორსა და კომპოზიციის ავტორს, ღონისძიების დაგეგმვის კლუბის ხელმძღვანელს რუსუდან კოვზირიძეს, კლუბის აღსაზრდელებს, აგრეთვე კლუბების „ნეკას“ და „იმედის“ აღსაზრდელებსა და მათ პედაგოგებს.

მზია ცქიფურიშვილი

ენა, ჩვენი ქართული

14 აპრილი—ქართული ენის დღე

„ქართველმა კაცმა მშობლიური ენა თავისი ხანგრძლივი არსებობის უმთავრეს ტრიადაში შეიტანა—ამ სამებას მამული, ენა და სარწმუნოება ჰქვია.

გიორგი მერჩულემ და ილია ჭავჭავაძემ ნათლად გამოხატეს ეს აღქმა, ხედვა და განწყობა... გიორგი მერჩულე „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ ამბობს: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“—ანუ ქართლი ის არის, სადაც წირვას ქართულად აღასრულებენ და ლოცვასაც ქართულად წარმოთქვამენო. საქართველო ქართულად მოლაპარაკეთა ქვეყანაა. ასე იყო, ასე არის და ასე უნდა იყოს სამარადჟამოდ, სანამ ერთი ქართველი მაინც დადის ამ ქვეყანაზე.

ენას დაცვა სჭირდება, არა მხოლოდ განსაცდელის ჟამს, არამედ ყოველდღე, ის, რაც საუკუნეთა განმავლობაში ვერ წაგვართვა მოძალადემ, ჩვენ თვითონ არ უნდა წავართვათ ჩვენ თავს“...

საქართველოში მცხოვრებმა ყოველმა ადამიანმა, ქართველმა თუ არაქართველმა დიდმა თუ პატარამ, ნამდვილად უნდა იცოდეს, ქართული ენის, ქართული დამწერლობის პატრონები რა სიმდიდრის ფლობელნიც ვართ.

ამას ემსახურებოდა ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი კვირეული, რომელიც თერჯოლაში მრავალი ღრმაშინაარსიანი აქტივობით აღინიშნა. თითოეული ეს დღე იყო ჩვენი სათაყვანებელი დედაენის მოფერების, გაფრთხილების, სიყვარულის თუ მოვლა-პატრონობის აუცილებლობით ნაკარნახევი...

ასე იყო საჯარო სკოლებში, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში...

საქართველოს უდიდესი საგანძურისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალურმა კომპოზიციამ „დედა ენა—წიგნი ბურჯი ენისა“, რომელიც მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრში იქნა წარმოდგენილი ღრმა შინაარსითა და მხატვრული ღირებულებებით, ნამდვილად მშვენივრად აჩვენა როგორია მიდგომა და სიყვარული ქართული ენისადმი.

„ქართულ დამწერლობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, ჩვენი ვალია გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას და დავიცვათ მისი სიწმინდე, სასიამოვნოა, როდესაც მომავალი თაობა ქართული ენის სიყვარულზე საუბრობს და გამოხატავს პატივისცემას სახელმწიფო ენისადმი, მინდა მადლობა გადუხადო ღონისძიების ორგანიზატორებს, ასევე მონაწილეებს და სამომავლოდ დიდი წარმატებები ვუსურვო“—აღნიშნა დასასრულს მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა გოგიაშვილმა, რომელიც მოადგილეებთან მანუჩარ რობაქიძესთან და მირზა ქოჩიაშვილთან აგრეთვე სხვა სამსახურის ხელმძღვანელ პირებთან ერთად ღონისძიებას დაესწრო.

***

დედაენის დღისადმი მიძღნილი კვირეულის ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერი ლაშა გოგიაშვილი, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილთან და ქალაქის მაჟორიტარი დეპუტატ ელისო მურადაშვილთან ერთად რიგ საჯარო და კერძო სკოლებს ესტუმრნენ. აღნიშნულ ღონისძიებას საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან შეყრილაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ ისაკაძე ასევე გოგნის, ძევრის და ჩხარის მაჟორიტარი დეპუტატი მანუჩარ ფანჩულიძე დაესწრნენ.

მათ დედა ენის დღე მიულოცეს პედაგოგებსა და მოსწავლეებს, პირველკლასელებს კი საჩუქრად წიგნები გადასცეს.

***

დედაენის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში სამხატვრო სკოლის ორგანიზებით საინტერესო გამოფენა მოეწყო, რომელსაც სამხატვრო სკოლის მოსწავლეებთან ერთად სხვა საჯარო სკოლის მოსწავლეებიც შეუერთდნენ...

***

დედაენის დღისადმი მიძღვნილი კვირეული ულამაზესი კონცერტით დასრულდა თერჯოლის კულტურის სახლში.

მაყურებლით გადავსებული დარბაზი მოუთმენლად ელოდა კონცერტის დაწყებას, საყვარელ ანსამბლ-შემსრულებლებთან შეხვედრას, რომელებიც ასე მოენატრა თითქმის ორწლიანი კოვიდპანდემიით გამოწვეული პაუზის გამო.

აი ისინიც: პირველები სცენაზე ქორეოგრაფიული ანსამბლი „იმერეთი“ ცეკვა „კინტაურის“ პრემიერით... არაჩვეულებრივი დადგმა, შესრულება... ბიჭები და გოგონები სათანადო ფორმაში არიან და მაყურებელთა ყიჟინა და ოვაციები, რაც მთელი კონცერტის განმავლობაში არ გაწყვეტილა... ასე ენაცვლებოდნენ ერთმანეთს მომღერალ-მოცეკვავეები: „იამე“ და „იმერეთი“—ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი, „მასპინძელო“, ხელმძღვანელი ინეზა ბუცხრიკიძე, ქორეოგრაფული ანსამბლები: „იმერეთი“, „საპოვნელა“, „ჯეოგენი“—ხელმძღვანელები ირინა ბუცხრიკიძე, გოჩა და გიორგი ჭანკვეტაძეები.

სრულიად განახლებული მრავალფეროვანი, თაობათა მონაცვლეობით სცენაზე მაღალ დონეზე შესრულებული თითოეული ნომერი.

და კიდევ, საქართველს დროშასთან ერთად ომის ქარცეცხლში გახვეული მეზობელი ქვეყნის დროშის წამიერი გაელვება, გიორგი ჭანკვეტაძის მიერ უკრაინული სიმღერის გაჟღერება და დარბაზში აციმციმებული სანთლები... სოლიდარობის დაუცხრომელი ტაში...

ისევ ცეცხლოვანი ცეკვები, როგორც მძლავრ რიტმში ჩართული ადამიანების ერთიანობის, საბრძოლო შემართების, თუნდაც მშობლიური ენის დაცვის სიმბოლო... და კონცერტი ისევ ცეკვის პრემიერით დასრულდა... „იმერულმა“ ისევ გაახალისა მაყურებელი.

მზია ცქიფურიშვილი

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“, ტრადიციულად გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

მერის მორიგ სამუშაო შეხვედრაზე

გასულ კვირას თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა მოადგილეებთან ერთად, მერიის სამსახურებისა და განყოფილებების უფროსებთან, ა(ა)იპის ხელმძღვანელებთან და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებთან მორიგი სამუშაო შეხვედრა გამართა.

თათბირზე, მუნიციპალიტეტის მერმა, ადმინისტრაციულ ერთეულებში პირადი წარმომადგენლებისგან სოფლებში არსებული მდგომარეობისა და საჭიროებების შესახებ მოისმინა ინფორმაცია. მან თანამშრომლებს შესაბამისი რეკომენდაციები მისცა და მაქსიმალური აქტიურობისკენ მოუწოდა, რათა მოხდეს პრობლემებზე დროული რეაგირება.

სამუშო შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა დაწვრილებით ისაუბრა მათ შესახებ, ამ მხრივ მიმდინარე სამუშაოებზე, მან განაცხადა:

—დაიწყო ქალაქ თერჯოლაში, პუშკინის ქუჩის გზის ბეტონის საფარით მოწყობა, რომელიც რგფ-დან ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

აქტიურ ფაზაშია თავასა-თუზის დამაკავშირებელი გზის მშენებლობის სამუშაოები.პროექტის ფარგლებში მოეწყობა 1 100 მეტრის რკინა-ბეტონის საფარი, ცხაურებითა და სანიაღვრე არხებით.

—მეორე ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს, ღვანკითი-ავტობანის დამაკავშირებელ გზაზე, რომელიც რგფ-დან ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

—უწყვეტი წყალმომარაგების მიზნით, სასმელი წყლის ცენტრალური ქსელის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს სოფელ ახალთერჯოლაში.

პროექტის ფარგლებში წყლის ცენტრალური რეზერვუარი, დამცლელი და მიმწოდებელი მაგისტრალები, საქლორატორო, სატუმბი სადგური და ინდივიდუალური მრიცხველები მოეწყობა, რის შემდეგაც სასმელი წყლით 630 ოჯახი ისარგებლებს.

—წყლის მაგისტრალის სამშენებლო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს სოფელ ნაგარევში. პროექტის ფარგლებში სასმელ წყალს 80 ოჯახი მიიღებს.

ინფრასტრუქტურული პროექტები მუდმივი მონიტორინგით...

გაზაფხულთან ერთად, სულ უფრო აქტიურ ფაზაში შედის თერჯოლის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარე სამუშაოები, რომელთა რაოდენობაც და სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაც საკმაოდ სოლიდური მოცულობისაა. ეს პროცესი კარგად იგრძნობა მუნიციპალიტეტის არაერთ ტერიტორიულ ერთეულში. ამ სამუშაოების აქტიურ ფაზაში შესვლის კარგი მაგალითია ქალაქ თერჯოლის ცენტრი, სადაც მაღალსართულიანი სახლების რეაბილიტაციის დასრულების ეტაპზე შესვლის პარალელურად, რამდენიმე დღეა, საქართველოს საგზაო დეპარტამენტმა დაიწყო მისი მთავარი ქუჩის კაპიტალური რეაბილიტაციის სამუშაოები, რაც ძველი ამორტიზებული ასფალტ-ბეტონის საფარის სრულად გამოცვლასთან ერთად, რუსთაველის ქუჩაზე ბორდიურებისა და საფეხმავლო ბილიკების მოწყობასაც ითვალისწინებს.

მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა, სისტემატურ რეჟიმში, ადგილებზე ჩასვლით სწავლობს რეალურ მდგომარეობას, ღებულობს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

მორიგ ჯერზე მუნიციპალიტეტის მერმა, ლაშა გოგიაშვილმა, მოადგილეებთან: მანუჩარ რობაქიძეს, მირზა ქოჩიაშვილსა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროს, გოდერძი თურქაძესთან ერთად ღვანკითი-ავტობანის დამაკავშირებელი გზის მეორე ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა და მშენებელი კომპანიის წარმომადგენლებს გაესაუბრა.

„ეს მნიშვნელოვანი გზა ამორტიზებული იყო, რომელიც გადაადგილების პრობლემას ქმნიდა. პროექტის ფარგლებში ამ გზაზე არმირებული ბეტონის საფარი, სანიაღვრე არხები, ცხაურები და ბოგირები მოეწყობა, რომელიც მიმდინარე წელს დასრულდება“—აღნიშნა ლაშა გოგიაშვილმა.

ღვანკითი-ავტობანის დამაკავშირებელი გზის სამშენებლო სამუშაოები რეგიონული განვითარების ფონდიდან ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება, რომლის ღირებულება 679 000 ლარს შეადგენს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა მორიგი სხდომები. სხდომებს წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე, გიორგი ბარათაშვილი ხელმძღვანელობდა.

6 აპრილის სხდომაზე დეპუტატებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 11 საკითხის შესახებ იმსჯელეს. სხდომამ მხარი დაუჭირა ლევან კვატაიასათვის, პირადი განცხადების საფუძველზე, საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტას, ასევე საკითხს თერჯოლის მუნიციალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ევროპული საქართველოს“ გაუქმების შესახებ, რაც ფრაქციიდან წევრის გასვლამ გამოიწვია.

დეპუტატებმა ასევე მხარი დაუჭირეს რამდენიმე საკითხს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ადრე მიღებულ განკარგულებებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

სხდომაზე დამტკიცეს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა. აგრეთვე, ცვლილებები შევიდა მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირების, თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის

26 იანვრის დადგენილებაში.

დეპუტატებმა ასევე მხარი დაუჭირეს საკითხებს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების (უსასყიდლოდ გადაცემისა და საკითხებს ქირავნობის შესახებ.

13 აპრილის რიგგარეშე სხდომაზე საკრებულოს დეპუტატებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი ოთხი საკითხის შესახებ იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 14 დეკემბრის N 21 დადგენილებაში შესატან ცვლილებებს.

გარდა ამისა, მხარდაჭერილია საკითხი საკრებულოს გამოკლებული წევრის, ლევანი კვატაიას ადგილმონაცვლის, ტარიელ ფანჩულიძისათვის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ და ა(ა)იპ „თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრი-“ს მიერ მუნიციპალური ცენტრის ფილიალების-საბავშვო ბაგა-ბაღების 2021 წლის განეული მუშაობის შესახებ ინფორმაციის წარდგენის შესახებ. ამავე სხდომაზე დამტკიცდა „თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურეობის 2022 წლის პროგრამა“.

სხდომას მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

პრობლემა—მყარი ნარჩენების მართვა

წლებია, რაც ფართო განხილვის თემაა მყარი ნარჩენების ის პროექტი, რომელიც გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკისა და ევროკავშირს სამეზობლო ინვესტირების პლატფორმის ფინანსური მხარდაჭერით უნდა განხორციელდეს.

„ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის“ დამხმარე ღონისძიებების საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიამ (PEM CONSULT), საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან ერთად, საპროექტო რეგიონების წარმომადგენლებს, დონორ ორგანიზაციებსა და პროექტის დაინტერესებულ მხარეებს, საკონსულტაციო მომსახურების შემაჯამებელი ანგარიში წარუდგინა.

შეხვედრას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე მუნიციპალიტეტების მერებთან ერთად ესწრებოდა. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა გოგიაშვილმა.

პროექტის მიზანია იმერეთისა და რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის რეგიონებში ნარჩენების მართვის ახალი სისტემის დანერგვა. კერძოდ, ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტის აშენება, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების ქსელის მოწყობა და მუნიციპალიტეტების აღჭურვა ნარჩენების შეგროვებისა და დასუფთავებისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებებით. აღნიშნული სისტემა სრულად ჩაანაცვლებს არსებულ ძველ ნაგავსაყრელებს, რომლებიც ეტაპობრივად, სტანდარტების შესაბამისად დაიხურება. პროექტის მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 27,5 მილიონ ევროს (სესხი (KfW): 20 მილიონი ევრო, გრანტი (EU NIF): 3,5 მილიონი ევრო, ადგილობრივი კონტრიბუცია 4 მილიონი ევრო).

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მართვაში არსებული, საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია “ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტს” გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკისა (KfW) და ევროკავშირის სამეზობლო ინვესტირების პლატფორმის (EU NIP) ფინანსური მხარდაჭერით ანხორციელებს.

სულთათანა

მართლმადიდებლური აღდგომის მეორე დღე, მიცვალებულთა მოხსენიების, საფლავთა კურთხევის დღეა. ამ დღეს ვიგონებთ ჩვენს გარდაცვლილ ახლობლებს, მეგობრებს და არა მარტო მათ... ვიგონებთ და პატივს მივაგებთ ადამიანებს–ვინც გამორჩეული კვალი დატოვა ცხოვრებაში, ვინც ქვეყნის ერთგული კაციც იყო და მისი მეხოტბეც, ვინც დღემდე მოიტანა ჩვენი ენა, მამული და სარწმუნოება...

* * *

ტრადიციულად, სააღდგომოდ ვიხსენებთ იმ ადამიანებს, რომლებმაც თავი დაგვამახსოვრეს თავიანთი კეთილი საქმეებით, სამშობლოსადმი მსახურებით და რომლებიც არაერთხელ მოხვედრილან ჩვენი გაზეთის ფურცლებზე, როგორც წარმატებული პიროვნებები, ახლა კი, მარადიულ სასუფეველში განისვენებენ. არდავიწყება მათ სახელებს...

უკრაინისათვის, საქართველოსათვის...

თითქმის ორი თვეა, რაც ცივილურმა სამყარომ ვერ შეაჩერა რუსეთ-უკრაინის ომი.

უკრაინას ძვირად უჯდება ევროპულ ოჯახში დამკვიდრება. აქ, ქვეყნის დამცველებთან ერთად იღუპებიან ბავშვები, მოხუცები, მშვიდობიანი მოსახლეობა.

ამ უმძიმეს განსაცდელში უკრაინელების გვერდითაა საქართველო, მისი ხელისუფლება, მოსახლეობა, ქართველი მოხალისეები. ისინი სიცოცხლის ფასად თავგანწირულად ომობენ და როგორც თავად ამბობენ, იქ, უკრაინაში თავიანთ სამშობლოს, საქართველოს მომავალს, მის თავისუფლებას იცავენ...

სამწუხაროდ, რამდენიმე მათგანმა გმირულად შესწირა თავი ამ ბრძოლას...

უთანასწორო ბძოლებში დაიღუპნენ: **დავით რატიანი, გია ბერიაშვილი, დავით გობეჯიშვილი, მამუკა ჩიქობავა, დავით მენაბდიშვილი, ნიკა შანავა.** მარადიული სასუფეველი და დიდება გმირ მებრძოლებს!

ნუგზარ ჩიკაშუა



რა სწრაფად გარბის დრო. სულ რაღაც, ერთი წლის წინ დაიტირა ნუგზარ ჩიკაშუა მშობლიურმა ჩხარმა, თერჯოლამ, მთელმა რაიონმა. ეს გამორჩეული პიროვნება, საქმიანი კაცი, მაღალი რეიტინგის ეკონომისტი, რომელმაც თავისი საჯილდაო ქვა ღირსეულად ატარა.

განათლებული, წიგნიერი კაცი იყო. ყოველგვარი ხმაურის გარეშე აკეთებდა თავის საკეთებელ საქმეს. იღწვოდა, იხარჯებოდა, სადაც კი იმუშავა, ყველგან დაატყო უნარიანი ხელმძღვანელის ხელი.

კომპეტენტური იყო, რაც წამდა იმას აკეთებდა. ნიჭიერება და განათლება შესაძლებელს უხდიდა ყოფილიყო წარმატებული.

86 წლის ასაკში შეუძლოდ გრძნობდა თავს. მაინც ინარჩუნებდა სიმშვიდესა და ღირსებას.

ბევრმა თერჯოლელმა გაინაწილა მისი ოჯახის მწუხარება. ჩვენ გვჯერა, რომ ნუგზარ ჩიკაშუას ოჯახში კვლავაც იხარებს სიკეთის ნერგი.

ახლობლები, მეგობრები

ციცო ლურსმანაშვილი

მზის ამოსვლას გავდა ციცოს გამოჩენა თერჯოლაში, მას გულგრილად გვერდს ვერ ჩაუვლიდი. ფიზიკურ სრულყოფილებას ერწყმოდა მისი მდიდარი სულიერი სამყარო. ასევე გამორჩეული ვაჟკაცი იყო მისი მეუღლე—მიხო ჩუბინიძე. ორი ქალიშვილი შეეძინათ და ისინი სიყვარულით და ბედნიერებით აღვსილებმა გაზარდეს... მერე მოხდა თავზარდამცემი ამბავი, სრულიად მოულოდნელად მიხო გულის შეტევით გარდაიცვალა... ოჯახის წინამძღოლობა ციცომ ღირსეულად გასწია... შვილებსა და შვილიშვილებზე ზრუნვა, მათვის თავდადება, მისთვის დიდი, თუმცა სასიამოვნო ტვირთი იყო, რაც მას დიდ ბედნიერებას ანიჭებდა...

ყოველივე ამის პარალელურად, კი არა და, მისი უმთავრესი საყვარელი საქმიანობა სამუსიკო სკოლის პედაგოგობა გახლდათ. 50 წელზე მეტი ემსახურებოდა მოსწავლეებისათვის მუსიკალური განათლების მიღებისათვის ზრუნვას. არაერთი თაობა, არაერთი მოსწავლე აზიარა ფორტეპიანოზე დაკვრის ხელოვნებას. უამრავი კონცერტი, უამრავი კონკურსი თუ ფესტივალი დაუმშვნებია მისი პედაგოგობით მომზადებულ მოსწავლეს... იყო დიპლომები, სიგელები...

ჯერ ერთი წელიც არ გასულა, რაც დატოვა საყვარელი ოჯახი, შვილები, შვილიშვილები, სამეგობრო, სამეზობლო თუ თანამოსაქმეები, საყვარელი საქმე, სკოლა, მოსწავლეები...

ვალმოხდილი წავიდა. წავიდა ნაადრევად წასულ ძვირფას მეუღლესთან... მათი ლოცვა უწინამძღვრებს შთამომავლობას, რომლებიც არასოდეს დაივიწყენენ ქალბატონ ციცოს...

მზია ცქიფურიშვილი

ნოდარ ხვარეშია

დრომ თავისი გაიტანა, ტკივილი ოდნავ გაანელა, მაგრამ ნოდარ ხვარეშიას სახელს დავიწყება არ უწერია, მისდამი ჩვენს მეგობრობას, სიყვარულს და პატივისცემას დრო ვერაფერს დააკლებს. ასაკი მოგვემატა ძმაო, შევმცირდით, რიგრიგობით წავიდა ჩვენი სამეგობრო. როგორც ადრე, გარდაცვალების პირველ წლებში, ვეღარ მოგაგებთ პატივს, რისთვისაც ბოდიში შენ სულთან. გაზაფხულზე ხარ დაბადებული, სიცოცხლის განახლების ჟამს, სულ ვფიქრობდით, რა მოგვერთმია შენთვის რვა მარტს! სიყვარულს, მეგობრობას, უღალატობას გაძლევდით და ვიკრიბებოდით შენს მშვენიერ ოჯახში. შენმა გარდაცვალებამ დაღი დაასვა არა მარტო შენს დედას, მეუღლეს, შვილებს, დას, არამედ ჩვენც, ყველას, ვისაც იცნობდი და ახლო ურთიერთობა გქონდა. დაიზარდნენ შენი შვილები ბებიის, დედის, მამიდის მზრუნველობის ქვეშ. წაადგათ საქმეში ოჯახის პატიოსნება და შრომისმოყვარეობა, შენი ავტორიტეტი და ახლა საკუთარ ოჯახებს კი არა, სხვებს პატრონობენ, ეხმარებიან, აიმედებენ. არ დაიდარდო ჩემო ნოდარ, ღირსეული შვილები გყავს, კარგად აღზრდილნი, განათლებულები და საქმიანები. შენ კი ალბათ, ახლა იქიდან, უფლის წიაღიდან ადევნებ თვალს ოჯახს, ახლობლებს, ჩვენ მეგობრებს და მოგვიწოდებ, რომ გვიყვარდეს ქვეყანა, გვიყვარდეს ადამიანები, ერთმანეთი, გვიყვარდეს ყველაფერი რაც კარგია, რაც ჭეშმარიტია, მართალი და ზნეობრივია...

შენს სახელს დავიწყება არ უწერია, არც შენ საფლავთან მისასვლელ ბილიკზე ამოვა ბალახი, სანთელი და ყვავილი, გულზე დაქცეული ჭიქა ღვინო არ მოგაკლდება, მაგრამ მაინც „სიკვდილი სევდაა, ადამიანად არ ყოფნის სევდა“. მშვიდობით იყავი შენს სევდასთან და შენს მყუდრო ძილში, გემსუბუქოს მშობლიური ეწრის მიწა.

მეგობრები

გულო სისაური

მარადიული ხსოვნის ნათელი ადგას ამ დიდებული ქალბატონის სახელს. ეს მან თავის სიცოცხლეშივე დაიმსახურა. დაიმსახურა მაღალი პროფესიონალიზმით, ზნეკეთილობით, არაჩვეულებრივი ურთიერთობებით, საქმისა და ადამიანების სიყვარულით.

მთის სურნელი და სისპეტაკე მოიტანა, როდესაც ულამაზესი თიანეთელი ქალბატონი თერჯოლელთა რძალი გახდა. მოიტანა იმედი, სიხარული უკეთესი მომავლისა... მოიტანა ბედნიერება არა მხოლოდ ანზორ ხუჯაძის ოჯახში, არამედ ყველა ოჯახში, რომელთა მომავალი თაობა გულო მასწავლებლის მოსწავლე გახდა...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა ადვილად დაიმკვიდრა ადგილი რუფოთის საჯარო სკოლაში ისეთი პედაგოგების გვერდით, როგორიც იყო დიმიტრი მაჭავარიანი, მარინა შალამბერიძე, ვერა მაჭავარიანი და სხვები.

ახალი ხედვა, ახალი სუნთქვა, ახალი მიდგომა სწავლა-აღზრდასთან მიმართებაში გამოარჩევდა მას და მის გაკვეთილებს...

სკოლასთან ერთად გულო სისაური აქტიურად იყო ჩართული რაიონის საზოგადოებრივ საქმიანობაში, ყოველთვის პირნათლად ასრულებდა მიცემულ დავალებებს.

ყოველივე ამის პარალელურად გულო შესანიშნავი მეუღლე, კარგი შვილების აღმზრდელი დედა და ოჯახის განუმეორებელი დიასახლისი იყო...

მისი ამ ქვეყნიდან წასვლა დიდი ტკივილი და დანაკლისია არა მხოლოდ ოჯახისათვის, არამედ მთელი სოფლისათვის, მისი აღმზრდელი მოსწავლეებისათვის.

მზია ცქიფურიშვილი

სულთათანა

მერი სისაური

ყოველი დაბადებული ბავშვი მისთვის ნამდვილი დღესასწაული იყო. ვერ დავითვალეთ, თერჯოლის სამშობიარო სახლის, ერთი შეხედვით, ძველ, მაგრამ მუდამ გაკრიალებულ შენობაში, რამდენი გოგო-ბიჭი დაიბადა მისი აქ მუშაობის მანძილზე. არ ვიცით, რამდენი დედისთვის უთქვამს, რომ ბავშვი ჯანმრთელია, მერე წონა, სიგრძე დაუდგენიათ და გაუხსნიათ ახალშობილის ბარათი №... ჰქონია ერთეული მძიმე შემთხვევებიც, რისთვისაც ღამეები უთენებია...

გაუმართლა თერჯოლას. მერი სისაური, კავკასიის სამხრეთ კალთებზე, თიანეთში გაზრდილი მშვენიერი ქალბატონი თერჯოლის რძალი, რომ გახდა.

თბილისში, სტუდენტთა ქალაქში, მეგობრების წრეში გაიცნო მომავალი მეუღლე, თერჯოლის მკვიდრი, ზრდილი, განათლებული, პატიოსანი კაცი, აგრონომი სოსო მორალიშვილი. დიდი სიყვარული ქორწინებით დამთავრდა. 1960 წლიდან ქალბატონი მერი მეუღლესთან ერთად თერჯოლაში ცხოვრობდა. ამავე წლიდან თერჯოლის სამშობიარო სახლში დაიწყო მუშაობა ექიმ-გინეკოლოგად, სადაც ოცდაორი წელი გამგედ მუშაობდა, მერე ისევ ექიმ-გინეკოლოგად და ასე, დაძაბულ მაგრამ სასიამოვნო შრომაში გავიდა წლები, დააგროვა ორმოცდაჩვიდმეტი წლის მუშაობის სტაჟი. იგი 2017 წელს 86 წლის ასაკში გარდაიცვალა.

წავიდა მერი სისაური და სევდა და გულისტკივილი დატოვა თერჯოლაში, თიანეთში, სადაც ხშირად დადიოდა, მუდამ ენატრებოდა მშობლიური მხარე.

გულწრფელად დაიტირა ქალბატონი მერი ორმა რაიონმა, ბევრმა მადლიერმა დედამ, რომლებთაც ახსოვთ შვილის ექიმი, რომელმაც მისი პაწაწინა დედაზე ადრე აიყვანა ხელში...

ბედნიერი და ლამაზი ოჯახი შექმნა ქალბატონმა მერიმ და სოსომ. სამი შვილი აღზარდეს, სამივეს უმაღლესი განათლება მისცეს. ზაზა და გია ინჟინრები არიან, ნანა—შუათანა, ექიმია დედასავით. ნანას თავს ევლებოდნენ ძმები.

86 წელი არ არის ცოტა, მაგრამ სიცოცხლე კიდევ შეიძლებოდა, სამი შვილის, 5 შვილიშვილის გარემოცვაში და შვილთაშვილების მოლოდინში. ჯერჯერობით ერთი შვილთაშვილი ჰყავს და კვლავ გამრავლდება სოსო მორალიშვილისა და მერი სისაურის ოჯახი და „უთვალავი“ შთამომავლობა გააგრძელებს სიცოცხლეს...

მერის და სოსოს საფლავზე დადიან შვილები, შვილიშვილები, ახლობლები, მეგობრები, გავა დრო და შვილთაშვილები ივლიან, მერე მათი შვილები და საფლავებს არ მოაკლდება ყვავილი, სანთელი და გახსენება. მშვიდობა გქონდეთ მანდ, სხვა სამყაროში, თქვენს მარადიულ ძილში.

ჟუჟუნა ცხადაძე

გუგული ამირანაშვილი

სულ ახლახანს, წყნარად და უჩუმრად წავიდა ზეციურ სასუფეველში ღვაწლმოსილი ქალბატონი გუგული ამირანაშვილი.

ქალბატონი გუგული წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა თერჯოლის საბავშვო ბიბლიოთეკას. იგი იყო გამორჩეულად კარგი ხელმძღვანელი, განათლებული და ერუდირებული, თავისი საქმის პროფესიონალი, სიკეთით და სიყვარულით სავსე. ქალბატონი გუგული დააკლდა არა მარტო ოჯახს, არამედ ყველას, განსაკუთრებით კი ჩვენს საბიბლიოთეკო საზოგადებას—ჩვენს კოლექტივს.

უყვარდა ბიბლიოთეკა, რომელიც მისი მეორე ოჯახი იყო. უყვარდა მეგობრები, განსაკუთრებით კი ბავშვები. ნორჩი თაობის ათეულობით წარმომადგენელს შეაყვარა წიგნი და ბიბლიოთეკა.

მუდამ გვემახსოვრები და არასოდეს დაგივიწყებთ, ჩვენო ღვაწლმოსილო ქალბატონო..

თერჯოლის საჯრო ბიბლიოთეკა

ლევან მხეიძე—მხატვარ-მოქანდაკე

ლევან მხეიძე—უბრალოებით მომხიბვლელი, ღირსეული და ახლობელი

...მხეიძეების ოჯახი ზაფხულობით თბილისიდან თერჯოლაში, მამაპაპისეულ მყუდრო სავანეში ჩამოდიოდა ხოლმე დასასვენებლად. ხმაურიან ქალაქს გამორიდებული ლევიკო (ბავშვობაში ასე ეძახდნენ) და მისი უმცროსი ძმა, თენგიზი დილიდან საღამომდე უბნელ თანატოლებთან თამაშობდნენ, უხაროდათ მშობლიური ეზო-კარი. მაშინ, რა თქმა უნდა არავინ იცოდა, რომ გავიდოდა წლები და ლევანი გამოჩენილი მოქანდაკე გახდებოდა...

საშუალო განათლება თბილისში მიიღო, ხატვის ნიჭით მომადლებულ ახალგაზრდას არჩევანი გაკეთებული ჰქონდა, ჯერ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ქანდაკების ფაკულტეტი დაამთავრა წარმატებით, ხოლო შემდეგ ასევე წარმატებით დაასრულა პეტერბურგის ი.ვ. რეპინის სახელობის სამხატვრო ინსტიტუტის ასპირანტურა.

დაიწყო შემოქმედებითი მოღვაწეობა.

მასშტაბური და თვალსაჩინო გამოდგა შრომის, ძიების ნიჭიერების სინთეზი.

ბატონი ლევან მხეიძე!

თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი.

საქართველოს დამსახურებული მხატვარი.

ათეული წლების მანძილზე საქართველოსა და უცხოეთში მოწყობილი სამხატვრო გამოფენების წარმატებული მონაწილე.

ბატონი ლევან მხეიძე!

გამორჩეული ადამიანური თვისებებით, ხიბლით, კულტურით, თავისი ქვეყნის პატრიოტი და მისი სადიდებელი საქმის უხმაუროდ მკეთებელი კაცი.

ლევან მხეიძის სკულპტურული ნამუშევრები ხასიათდებიან ღრმა შინაარსით და ორიგინალური კომპოზიციური გადაწყვეტით. ისინი დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებენ მნახველს.

მკითხველს ვთავაზობთ ამონარიდს ერთ-ერთი პოპულარული ჟურნალიდან: „მცირე ბორცვზე დიდებულად დადგმული უზარმაზარი ოთკუთხედი ლოდი თავისთავად შთამბეჭდავია, მაგრამ, როცა ადამიანი იხილავს იმ ლოდის ერთ მხარეზე ამოკვეთილ მოყმისა და ვეფხვის გამოსახულებას, რომლებიც ერთმანეთს სასიკვდილოდ შებმიან, ძალაუნებურად მას ისეთი ფიქრები აეშლება, რაც შესანიშნავი ქართული ბალადის ახლებურ გააზრებას შეეფერება და მხილველს მშვიდობისაკენ მოუწოდებს. ასე აღუქვამთ ვეფხვისა და მოყმის ამბავი გერმანელ, ამერიკელ, ავსტრიელ, ფრანგ მოქანდაკეებს, სხვა პიროვნებებს, ვინც აქ მუშაობდნენ ან ამ მშვენიერ წამოწყებას თვალყურს ადევნებდნენ“...

ეს სიტყვები ჩვენი ეროვნული კულტურის ერთგულ მოამაგესა და გერმანისტს ვახტანგ კუპრავას ეკუთვნის. მას თავისი თვალით უნახავს „ვეფხვისა და მოყმის“ ეს დიდებული სკულპტურული ნამუშევარი ზაარის, საფრანგეთისა და ლუქსემბურგის საზღვარზე რომ დგას, მასთან ერთად ყოფილა ქართველი ხალხის დიდი მეგობარი, საქართველოსა და ზაარის მხარის დაახლოების წამომწყები და ინიციატორი, ჭეშმარიტი ხელოვანი და ინტერნაციონალისტი ჰერმან ვედეკინდი, როცა მას ლევან მხეიძის ეს ნამუშევარი დაუთვალიერებია, სურვილი გაჩენია დიდი ხნის ოცნების განხორციელება-ქალაქ ბადენში შოთა რუსთაველის ქანდაკების დადგმა „ვეფხისა და მოყმის“ ავტორისათვის მიენდო.

საქართველოსა და უცხოეთში (ბატონი ლევან მხეიძე თავის შედევრებს ქმნიდა როგორც ჩვენში, ისე გერმანიაში) აღიარებული ხელოვანი თბილისის სამხატვრო აკადემიაში ინტენსიურ პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა, ახალგაზრდებს უხვად გადასცემდა თავის მდიდარ გამოცდილებას და...

და ისევ ფუნჯით თუ საჭრეთელით ხელში ხატავდა და ძერწავდა, იმას, რასაც მშვენიერების სამყარო ჰქვია.

ლევან მხეიძე!

ჩვენთვის, თერჯოლლებისთვის, ორმაგად ძვირფასია ეს სახელი. დიდი ოსტატი წლების მანძილზე ძერწავდა ქვის სამშვენისებს მშობლიური რაიონისათვის. ეს არის თერჯოლის შემოსახვევში ადრე არსებული არქიტექტურული კომპლექსი, დიდი სამამულო



ომის მონაწილეთა უკვდავსაყოფი ძეგლი, ჩვენი სასიქადულო მწერლის დავით კლდიაშვილის ძეგლ-მემორიალი და სხვ.

ყოველივე ამისათვის ქება და დიდება ჩვენი მიწა-წყლის შვილს, ძირძველ თერჯოლელს, ლამაზ კაცს და დიდ ხელოვანს.

გმადლობთ, რომ თქვენეული ხიბლი შესძინეთ ჩვენს ქალაქს, სურვილი მქონდა თბილისში გწვეოდით, მენახა თქვენი სახელოსნო და იქ მომემარჯვებინა კალამი ხელში. ვაგლახ, რომ ეს ვერ მოესწრო...

ნუგზარ გამყრელიძე,

ავტორის მინაწერი:

ბოლო წლებში გერმანიაში ცხოვრობდა, დროდადრო ახერხებდა სამშობლოში ჩამოსვლას. მისი შთაგონების წყარო თბილისი და თავისი საყვარელი თერჯოლა იყო. იგი აქტიურად იყო ჩართული მშობელი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. ბოლომდე დაიხარჯა. ბოლომდე ზიდა თავის საჯილდაო ქვა...

მადლიერი თერჯოლა მადლობას უხდის თავის შვილს გარჯისა და სიყვარულისთვის.

„ქრისტე აღსდგა მკუდრეთით
სიკუდილითა სიკუდილისა
დამთრგუნველი და საფლავების
„შინა ცხოვრების მიმნიჭებელი“

შთაბეჭდილება უკიდეგანოა, როცა „ქალთა მუზეუმს“ სტუმრობ...

უამრავი ულამაზესი აქტივობა თუ მხატვრული ღონისძიება გამართულა მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრში, უამრავი ულამაზესი წუთებით განცდილი ემოცია და სიხარული გაჰყოლია აქ მოსულ მაყურებელს, თუმცა მარტის ერთ სუსხიან დღეს ბავშვთა უფლებების დაცვის კლუბის (კოორდინატორი ნათია გამყრელიძე) მიერ წარმოდგენილმა ულამაზესმა შემეცნებითმა სანახაობამ, შეიძლება ითქვას, „ყველა რეკორდი“ მოხსნა...

ერთი საგაზეთო სტატია ნამდვილად ვერ დაიტევს და ვერც გადმოსცემს შთაბეჭდილებას, რომლის ქვეშაც ამ სტრიქონების ავტორი, თუ ნებისმიერი იქ მყოფი მაყურებელი აღმოჩნდა... ეს უნდა ნახო, გააცნობიერო და განიცადო...

აღნიშნულმა კლუბმა მაყურებელი „ქალთა მუზეუმში“ მიიპატიჟა... შთაბეჭდილება კი უკვე სცენიდან დაიწყო. ორიგინალური გადაწყვეტა, მაღალი პასუხისმგებლობა, დეკორაციები, თითოეული აქსესუარი არაჩვეულებრივი მუსიკა და საოცარი გოგონები თავიანთი სამოსით, ყველაფერი მიმართულია და გამიზნულია იმისათვის, რომ ყველამ კარგად იცოდეს თუ როგორები იყვნენ და არიან ქართველი ქალები, რომ ქალები წარსულიდან, რომლებმაც თავიანთი კვალი დატოვეს, არიან მაგალითი მომავლისათვის...

დიახ, „საუკუნეების განმავლობაში საქართველოში ქალები ქმნიდნენ, აღმოჩენებს აკეთებდნენ, იბრძოდნენ ცვლილებებისათვის, საკუთარი უფლებებისათვის და არ უშინდებოდნენ სიახლეებს. ალბათ ვერ წარმოიდგენდნენ, რომ ათეულობით წლის შემდეგ მოვინდომებდით, მათზე უფრო მეტი გვცოდნოდა და ჩვენი თანატოლებისათვისაც გაგვეცნო ისინი. იმედი გვაქვს, იმ ათი ქალის ძალას და შემართებას იგრძნობთ, რომლებიც იყვნენ მეცნიერები, უფლებადამცველები, ქველმოქმედები, მათი ისტორიები ნათლად ასახავენ ქართველი ქალის გონივრულობასა და პროგრესულად აზროვნებას“...

„ფასდაუდებელია ქალების წვლილი საქართველოს, უძველესი კულტურის მქონე ქვეყნის დღემდე მოტანაში, მათ უდიდესი როლი ითამაშეს საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლაში, განუზომელი წვლილი შეიტანეს ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებაში, თავიანთ თავზე აიღეს „განმანათლებლის“ ფუნქცია. ევროპაში განათლებამიღებული ქართველი ქალები მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას ხალხს გადასცემდნენ და ქვეყნის გამოფხიზლებას ცდილობდნენ“...

ასე დააანონსეს და დებიუტანტმა, თუმცა, საკმაოდ მომზადებულმა თითოეულმა მონაწილემ, გააცოცხლა და საოცარი სითბოთი და სიყვარულით ამოგზაურა მაყურებელი თითოეული ქალის ცხოვრების ქრონიკებში, რომლებმაც XIX-XX საუკუნეების ჩვენი ქვეყნის განვითარების გზაზე უდიდესი მისია იტვირთეს.

ანასტასია თუმანიშვილი—წარმოადგინა ლალი მაკარიძემ:

ტასო მდიდარი ლიტერატურული ტრადიციების ოჯახში გაიზარდა, კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის დასრულების შემდეგ მიემგზავრება ევროპაში, ეცნობა იქაურ კულტურას, აღზრდის საკითხებს და განსწავლული ბრუნდება სამშობლოში. მისი ინიციატივით დაარსდა „მასწავლებელ ქალთა საზოგადოება“, რომელსაც 33 წელი ხელმძღვანელობდა, დააარსა საბავშვო ჟურნალი „ჯეჯილი“, მეუღლესთან, გიორგი წერეთელთან ერთად დააფუძნა გაზეთი „კვალი“, იგი იყო „ქარველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ აქტიური წევრი.

მისი ძალისხმევით შესაძლებელი გახდა ქალთა ქართული სასწავლებლის დაარსება.

„ვის ხელში უნდა იყოს აღზრდა-განათლება? ვის ხელში უნდა იყოს სამშობლო ენის დაცვა?—კიდევ და კიდევ ვიტყვი, დედაკაცების ხელში. განა არ გვიჭირს მათ განათლებაზე, შკოლებზე ზრუნვა? ამისთანა მძიმე საქმეში განა ერთი ჯგუფი ქალებისა რასმე გახდება, თუ მთელი საზოგადოება ამ საჭირბოროტო საქმეს არ მიიჩნევს თავის საკუთარ საქმედ?... ნუ დაივიწყებთ ქალების აღზრდას, მეტი ყურადღება მიაქციეთ ამ საქმეს... მიეშველეთ თორემ ოჯახები დაიღუპება, მამული სხვის ხელში გადადის უდედაკაცობით“... წერდა იგი.

ანასტასიას გარდაცვალების შემდეგ ერთმა პოეტმა ასეთი სტრიქონი მიუძღვნა: „ვაჟკაცურად ეპყრა ხელში ბრძოლის ხმალი და ღირსეულად მოიხადა ვალი“...

ოლღა გურამიშვილი—წარმოადგინა ნინი ბუცხრიკიძემ:

კარგად გასწავლული ქალბატონი, ილია ჭავჭავაძესთან ერთად „საქართველოს მოამბეს“ რედაქციაში მოღვაწეობს, იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ საპატიო წევრი, ქალთა საქველმოქმედო საქმიანობის თავმჯდომარე, ეხმარებოდა ღარიბ მოსწავლეებს...

ეს ის ოლღა იყო, რომლის ხასიათით, ღირსებით და მორალით აღფრთოვანებული მწერალი ლევ ტოლსტოი წერდა: „მაშინ, როდესაც მთელ რუსეთში გამეფებულია ზნეობრივი სიბნელე და უკუნეთი და ყოველ ნაბიჯზე გაისმის მოჰკალ, ჩამოახრჩე, ამ დროს საქართველოს საუკეთესო შვილის ქვრივი, რომელსაც უსაყვარლესი მეუღლე ბარბაროსულად მოუკლეს და თითონაც იგი მხეცურად სცემეს და დაჭრეს, ევედრება მთავრობას, სიკვდილით ნუ დასჯით მკვლელებსო. აქამდე ვიცოდით, რომ ფიზიკური მზე აღმოსავლეთიდან ამოდის, ახლა უნდა ვთქვათ, რომ ზნეობრივმა მზემ საქართველოდან ამოაშუქა“...

ანასტასია გედევანიშვილი—ნინო ტალახაძე:

ანასტასია პირველი ქართველი ქალია, რომელმაც ქალთა უფლებების საკითხი საერთაშორისო ასპარეზზე გაიტანა. იგი იყო მთარგმნელი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე და სამოქალაქო უფლებების დამცველი.

პარიზის სორბონის უნივერსიტეტში მიუღია განათლება ლიტერატურასა და პედაგოგიკაში... მისი თაოსნობით შეიქმნა და თავმჯდომარეობდა „ქართველ ქალთა თანასწორუფლებიანობის კავშირს“.

1908 წელს თავის სახლში დააარსა პირველი ქართული საბავშვო ბაღი, სადაც, მოუხედავად წინააღმდეგობისა, ბაღში სწავლა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის ეპარქიულ სასწავლებელში ამავე დროს იყო მთარგმნელი, ჟურნალ „ნაკადულის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი...

ანასტასია გედევანიშვილმა საქართველოს ლიტერატურის მუზეუმს სრულიად უსასყიდლოდ გადასცა ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი მასალები, ფოტოსურათები, ასევე მე-19, მე-20 საუკუნის წიგნებისა და გამოცემების ბიბლიოთეკა. ამ და სხვა უდიდესი ღვაწლისათვის „ქართველი ჟანა დარკი“ უწოდა მას აკაკი წერეთელმა.

დომინიკა ერისთავი—წარმოადგინა ნატა კარტოზიამ:

იგი პოეტი და პროზაიკოსი იყო, 90-იანი წლების ჟურნალ-გაზეთებში გამოჩნდა, როგორც ნიჭიერი პუბლიცისტი, მთარგმნელი და ჟურნალისტი, თანამშრომლობდა პერიოდულ გამოცემებში: „ივერია“, „ცნობის ფურცელი“, „კვალი“, „ნაკადული“ და სხვა. რედაქტორობდა ჟურნალ „ნობათს“, იყო პირველი კორექტორი ქალი, ეხმარებოდა იაკობ გოგებაშვილს წიგნების რედაქტირებაში.

ეს ყოველივე მას შემდეგ რაც 17 წლისა, მისი სურვილის წინააღმდეგ მასზე გაცილებით უფროს ვაჭარზე გაათხოვეს, რომელიც კატეგორიულად უკრძალავდა გარე სამყაროსთან ურთიერთობას და განათლების მიღებას. თუმცა იბრძოდა და თავი დააღწია „ტყვეობას“... მას ქართველ ჟორჟ სანდს უწოდებდნენ...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ციალა არეშიძე—90

თქვენთვის ოთხმოცდაათიც არაფერია

...ჩემი თაობის მოსწავლეებზე სულ რაღაც 13-15 წლით უფროსი იყავით, უფროსკლასელი გოგონები თვალს ვადევნებდით თქვენს ჩაცმულობას, ქცევას, გვხიბლავდა სილამაზე, ნატიფობა, დახვეწილობა, საუბარი, სულგანაბული კი გისმენდით, მაგრამ ვერ მოგატყუებთ, გერმანული კი არა, ქართულადაც რომ გესაუბრათ, ვერაფერს გავიგებდით, ჩვენი ინტერესი თქვენდამი სწორედ რომ ზემოთჩამოთვლილი ღირსებების აღქმაში მდგომარეობდა.

თქვენი შემოსვლა ჯგუფში სიხარულსა და ხალისს გვმატებდა, გაკვეთილზე მთელი სისრულით ჩანდა თქვენი პიროვნება, ცოდნა, განათლება, კულტურა, ახლა უკეთ ვხვდები—მასწავლებლობა თქვენი გატაცება კი არა მთელი ცხოვრება იყო. მერე დავიზარდეთ, სკოლა დავამთავრეთ და დავცილდით, ზოგი რამ გაფერმკრთალდა, ბევრ მოგონებას ჩრდილი გადაეფარა, მაგრამ უცვლელი დარჩა ტკბილი მოგონება იმ დღეებისა და თქვენზე—გერმანული ენის მასწავლებელზე, ქალბატონ ციალა არეშიძეზე.

პრანჭვა-გრეხვა, ორიანის დაწერა, მშობლის დაბარება, გაკვეთილების შემდეგ დატოვება, მეოთხედური შეფასებისას დაბალი ნიშნის დაწერა შედეგს რომ ვერ მოიტანდა მიგვახვედრე. „სასჯელის“ მკაცრ ზომებს არ იღებდი, ყოველთვის იტოვებდი „რეზერვს“ შემდგომი ზემოქმედების მოსახდენად, შენიშვნაც საკმარისი იყო. თქვენი მოსწავლეებისადმი დამოკიდებულება ყოველთვის გვაძლევდა სტიმულს—უკეთ გვესწავლა და შეგვეყვარებინა უცხო ენა. ყველაზე „სალანძღავი“ თქვენი სიტყვა იყო „შენ ამ გაკვეთილისათვის კარგად არ გიმუშავნია, მეტს მოველოდი“ და ვფიქრობდით ჩვენი მუშაობის უკმარისობაზე, მეტ მონდომებას ვიჩენდით გამოგვესწორებინა მდგომარეობა. თქვენ ყოველთვის ეძიებდით სიახლეებს, გვესაუბრებოდით ყველაზე მშვენიერზე, გმირობაზე, თქვენგან მოველოდით მოთმინებასაც, დაუცხრომელ შრომასაც, უმაღლეს ცნებებთან ზიარებასაც, ისე, რომ არ ვფიქრობდით იყო თუ არა თქვენი შემოსავალი, თქვენი შრომის ტოლფასი. ჩვენ რა შეგვეძლო, სიყვარულს კი გაძლევდით, ბიჭები ქუდსაც გიხდიდნენ, გოგონები სულგანაბული გისმენდით, მაგრამ მეტი გვინდოდა, მოგვიანებით მივხვდით, რამდენად ღირებული და ძვირფასია მასწავლებელი.

ათეულობით წელი ემსახურე საყვარელ საქმეს, მრავალმა ნორჩმა თაობამ, ასეულობით ბავშვმა გამოიარა თქვენს ხელში და ვერავის ნახავთ თქვენდამი სიყვარული და პატივისცემა არ ჰქონდეს.

ოთხმოცდაათი წელი გასულა ციალა მასწავლებელო, ოთხმოცდაათი წელი არ არის ცოტა, მაგრამ მშვენიერი ოჯახის—შვილებისა და შვილიშვილების გარემოცვაში. აწი გინდათ სიცოცხლე, თქვენთვის ოთხმოცდაათიც არაფერია, თქვენი კარგად ყოფნით, გონიერებით, კვლავაც მისაბაძი ხართ.

თქვენი მშვენიერი ქალიშვილები, სიძეები, შვილიშვილები და შვილთაშვილები თქვენი სიამაყეა. თქვენი შთამომავლობა გამრავლდება, ასოცის რომ იქნებით ქალბატონო ციალა, იმდენი იქნებით სათვალავიც კი აირევა.

დაბადების დღეს გილოცავთ! დაგწოლოდეთ საუკუნის სიმძიმე, მერე ახალი ათვლა დაიწყება და მოვა ასოცი, უფლის მიერ ადამიანისათვის განსაზღვრული ასოცი!

ოღონდაც, ძვირფასო ქალბატონო!

ჟუჟუნა ცხადაძე

ახალი ტურისტული სეზონი იწყება...

ეს ყველამ უნდა ვიცოდეთ...

ვიცით კიდევაც, მაგრამ მაინც, ზურგჩანთააკიდებულმა ტურისტმა, რომ გვკითხოს აქედან ძველი ნაქალაქარი ჩიხორი რამდენ კილომეტრშიაო—ხომ არ უნდა გავწითლდეთ?

ხომ უნდა შეგვეძლოს ნავენახევის მღვიმის გზა მივასწავლოთ?

მოდით, ჩაავლეთ თვალი ჩვენს ხელთაღებულ ცნობარს და ყოველგვარი უხერხულობისაგან დაზღვეული ვიქნებით:

მუნიციპალიტეტში 1 ქალაქი და 45 სოფელია.

მანძილი თბილისამდე 195 კმ.

მანძილი ქუთაისამდე 30 კმ.

მანძილი უახლოეს აეროპორტამდე (კოპიტნარი)—50 კმ.

მანძილი უახლოეს ნავსადგურამდე 120 კმ (ფოთი).

უახლოეს რკინიგზის სადგურამდე—ზესტაფონი (15 კმ).

ბუნებრივი ღირსშესანიშნაობები:

1. ნაგარეევის მღვიმე
2. ნავენახევის მღვიმე
3. საგვარჯილე
4. სამჭინკიას მღვიმე

5. ძევრის სტრუქტურული რელიეფი
6. გოგნის უდაბნო
7. ქვერუნის ხეობა
8. საზანოს პრეისტორიული ფაუნის ნაკვალევი
9. ძუსის კანიონი
10. ალისუბნის კანიონი
11. ჭიშურის ხეობა
12. ბროლის ქედი
13. ყვირილის კუნძული

ისტორიული ძეგლები

1. გოგნის კარუგდებელი VII ს.
2. თუზის წმინდა გიორგი IX ს.
3. ღვანკითის დედაღვთისა XII ს.
4. კვახჭირის წმ. გიორგი XVII ს.
5. ჩხარის წმ. გიორგი XVI ს.
6. ქვ. სიმონეთის წმ. გიორგი XVI ს.
7. ძევრის ჩეხნარი, ძვ. ტაძარი VIII ს.
8. სიქთარვის მაცხოვარი XVII ს.
9. ჭოგნარის ღვთისმშობელი XVII ს.
10. სკანდის ციხე VI ს.

11. ჩიხორის ნაქალაქარი XII ს.
12. ჭიშურის თაღოვანი ხიდი XVII ს.
13. მაჩიტაურის ციხე XVI ს.
14. ბერციხე XVII ს.
15. გოდოგნის კოშკი XVII ს.
16. საგვარჯილე (10 ათასი წლის).

ტურისტული მარშუტები

1. გოდოგანი—ნავენახევი—სიმონეთი—ღვანკითი—ჩხარი.
2. მაჩიტაური—მუჯირეთი—თავასა—ჩიხორი—რუფოთი—თერჯოლა.
3. თერჯოლა—ძევრი—გოგნი—ალისუბანი—სკანდე—საზანო.

თავისი ტურისტული და ისტორიულ-სამეცნიერო მნიშვნელობით უნდა გამოვყოთ: სკანდის ციხე, თამარის ხიდი, „კარუგდებელი“, ღვანკითის დედაღვთისა, ნავენახევის მღვიმე, ქადაგიძის რაფი...

ყოფილი კურორტი სიმონეთი

არაა გამორიცხული, რომ ზოგიერთი ტურისტი (აქ ჩამოსული თუ ჩამოსასვლელად მზადებაში ჩართული) ამ კურორტითაც დაინტერესდეს, რადგან ის ბევრ საინფორმაციო ცნობარშია შეტანილი მისი სამკურნალო წყლების უნიკალურობის გამო. ალბათ ურიგო არ იქნება თუ კიდევ ერთხელ გავეცნობით ამ კურორტის სამკურნალო წყლების მოკლე დახასიათებას.

სოფელ ქვ. სიმონეთში მრავლადაა სხვადასხვა სახის სამკურნალო წყალი. აღნიშნული წყლები გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ, აქ საყრდენ-მამოძრავებელ ორგანოთა დაავადებების პერიფერიული ნერვული სისტემის, ფუნქციური დაავადებების განკურნება ხდება. სიმონეთის აბანოებში წყლის ტემპერატურა 46 C^0-ს უდრის. სიმონეთში ამოედინება მინერალური წყალი, რომელიც თავის სამკურნალო თვისებებით განსხვავებულია სამკურნალო აბანოებისაგან. ეს უკანასკნელი სამკურნალო სასმელი წყალია. კუჭ-ნაწლავის, ღვიძლის, ნაღვლის ბუშტის დაავადებათა სამკურნალოდ გამოიყენება და არანაკლებ მნიშვნელოვანია საირმისა და ბორჯომის წყლებზე. მისი ტემპერატურა 26 C^0-ია.

მასალა თერჯოლის მუნიციპალიტეტის ტურისტული რუქის მიხედვით მოამზადა

ნუგზარ გამყრელიძემ

საქართველოს ჩემპიონატი ჭადრაკში

ნინი წივწივაძე კვლავ გვახარებს

21-25 თებერვალს გაიმართა საქართველოს ონლაინ თასი 11 წლამდე ასაკის გოგონათა შორის, რომელიც ჩატარდა შვეიცარული სისტემით 9 ტურად. 7 ქულით ნინი ვიცე ჩემპიონი გახდა. ის ადრეც იყო იმერეთის ჩემპიონატის პრიზიორი და გამარჯვებულიც, როგორც სწრაფ, ისე კლასიკურ ჭადრაკში.

საქართველოს ჩემპიონატზე ნინიმ უკვე მეექვსედ ისახელა თავი.

5-8 მარტს გაიმართა საქართველოს კადეტთა სასკოლო ჩემპიონატი—საქართველოს გრანპრი 11 და 13 წლამდე ჭაბუკთა და გოგონათა შორის, სადაც მონაწლეობის უფლება მოპოვებული ჰქონდათ საქართველოს ონლაინ თასის 1-8 ადგილზე გასულ მონაწილეებს, ტურნირი გაიმართა წრიული სისტემით 7 ტურად, სადაც ყველა მოჭადრაკე ერთმანეთს უნდა შეხვედროდა, 11 წლამდე გოგონათა შორის 6 ქულით პირველი ადგილი ისევ ნინი წივწივაძეს ხვდა წილად.

***

საქართველოს მასშტაბით გამართულ პირველობებში ამ ნიჭიერი გოგონას მიღწევები ასეთია:

რაპირა მე-3 ადგილი; ბლიცი მე-2 ადგილი; კლასიკური ჭადრაკი პირველი ადგილი; ჩირაძის მემორიალი მე-3 ადგილი; ონლაინ თასი მე-2 ადგილი; კადეტთა სასკოლო ჩემპიონატი—საქართველოს გრანპრი პირველი ადგილი.

ნინიმ სლოვაკეთის დედაქალაქ ბრატისლავაში ევროპის ჩემპოიონატზედაც გამოავლინა თავი, როგორც კარგი მომავლის მქონე მოჭადრაკემ, ვულოცავთ და ვუსურვებთ მომავალ წარმატებებს.

მასალა მოგვაწოდა მწვრთნელმა გია ჭუმბურიძემ, რა თქმა უნდა მასაც ვულოცავთ და გვჯერა კვლავაც აქტიურად გააგრძელებს თავის სამწვრთნელო მოღვაწეობას.

ჩვენი სახელოვანი მოჭადრაკეების რიგებს ახალი შევსება სჭირდება.

ვირუსი უკან იხევს...

ქვეყანაში კოვიდინფიცირების შემთხვევებმა მნიშვნელოვნად იკლო, პრაქტიკულად აღარ ფიქსირდება ამ ვირუსით დაავადებით გარდაცვალების შემთხვევები, რაც იმას ნიშნავს, რომ კოვიდპანდემიური რეალობა პოზიციებს თმობს.

ასე გვწამს, ასე გვეჩვენება.

მაინც უნდა ვიფრთხილოთ, არ ავყვეთ ცდუნებებს, ფონს საბოლოოდ გასვლამდე. გონივრული მოწოდებაა—ჩვეულებრივი აკადემიზმით, თავდაჭერილობით ჯანდაცვის სექტორისადმი პატივისცემითა და მათი ყოველი მოწოდების გათვალისწინებით შევინარჩუნოთ ის, რაც განგებისაგან გვაქვს ბოძებული. ნუ მივცემთ თავს უფლებას, რომ ქართულ გენს მისი მეობა დავუკარგოთ.

ჩვენზეა დამოკიდებული, რომ იბერიამ კვლავაც იბრწყინოს.

კიდევ ვახაროთ ადამიანებმა ერთმანეთი.

ეს ძალიან ადვილია, ოღონდაც ხელთათმანს ნუ გადავუგდებთ ჩვენსავ მომავალს.

პწკარედი

ერთი კალმის მოსმით, ერთი ამოსუნთქვით

სამშობლოზე ფიქრი—დიდი სატანჯველი.

***

ადამიანები ბედნიერად გრძნობდნენ თავს ვიდრე არ ენახათ კომფორტი.

***

სამყარო შეუცნობელია, მაგრამ არა ისეთი, როგორიც ადამიანი.

***

ჯერ დარდი მოვიცილოთ თავიდან—მერე შევუდგეთ საქმეს.

***

თუ ვარსკვლავებს ვეთამაშებით ცაზე—ხშირია ტრამვები მიწაზე.

***

ეძებეთ სიკეთე—ბოროტს არ გადაეყრებით.

***

პოლემიკაში ჩართვის წინ ვკითხოთ თავს—ღირს?

***

ადამიანს თუ სინანული არ აწუხებს—მოგჭამათ ჭირი.

***

სიღარიბე გვასწავლის ცხოვრებას, სიმდიდრე—გვავიწყებს.

***

სიღარიბე უბედურებაა, სიმდიდრეც...

***

სიბერე—ფიქრი, სევდა სიბერის გამო.

***

ოდესმე იქნებ დედამიწა გაჩერდეს, წამს ვერ გააჩერებ!

***

ეჭვი ცუდია, მაგრამ კარგია რომ ფიქრს გაიძულებს...

***

ეჭვი ეჭვს შობს.

***

უნიჭოს რომ ფანტაზია აქვს—ნიჭიერი ვერც წარმოიდგენს.

***

სინათლის სიჩქარე დიდად ჩამორჩება ჭორის გავრცელების სიჩქარეს.

***

ნიჭიერებს ამბიციები არ აწუხებთ.

გვერდის ავტორი

ნუგზარ გამყრელიძე

თერჯოლის მე-3 ბაგა-ბაღის თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ირმა ჩუბინიძეს და თემურ რობაქიძეს მამის და სიმამრის

ვახტან ჩუბინიძის

გარდაცვალების გამო.

ქრისტე აღდგა!

ბრწყინვალე შვიდეული



აღდგომის დღესასწაული (24 აპრილი-1 მაისი) ერთი კვირის მანძილზე გრძელდება. ამ კვირას ბრწყინვალე შვიდეული ეწოდება. მისი თითოეული დღე განსაკუთრებული მადლითაა აღსავსე.

ტრადიციულად ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს ვიხსენებთ მიცვალებულებს, გავდივართ საფლავებზე, მაგრამ ამჯერად ჩვენ მათ ვიხსენებთ არა იმიტომ, რომ განშორება ვიგლოვოთ, არამედ იმიტომ, ვახაროთ მათ „ქრისტე აღდგა! თავისი სიკვდილით დათრგუნა სიკვდილი და საფლავებსა შინა სიცოცხლე მიანიჭა!“

თუ ადამიანს სწამს ღმერთი, სწამს, რომ ის აღდგა და სიკვდილი განაქარვა, მისთვის ამ სადღესასწაულო დღეებში მიცვალებულის დატირება და გლოვა დიდი ცოდვაა. განშორების მწუხარება, რომელიც მარად ჩვენს გულშია, ამ დღეს მეტად თავშეკავებულად უნდა გამოიხატოს, რამეთუ მას ცვლის დიდი სულიერი სიხარული და განცდა კვლავ შეხვედრის უეჭველობისა. ამასთან, საფლავებზე გავდივართ სწორედ ორშაბათს და არა თვით აღდგომას, რაც არ იქნებოდა მართებული.

ბრწყინვალე შვიდეულში ყველა საეკლესიო წესს განსაკუთრებული ელფერი აქვს; წირვა-ლოცვა მხოლოდ ამ კვირისათვის დამახასიათებელი რიგით სრულდება, განსხვავებულია მიცვალებულის წესის აგება, ცვლილებაა ჩვენს ყოველდღიურ ლოცვებშიც; დაწყებით ლოცვებში სულიწმინდის მოწვევის ლოცვა „მეუფეო ზეცათაო....“ სულთმოფენობამდე აღარ ითქმება. მის ნაცვლად სამჯერ ვამბობთ: **„ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი“.**

ამ კვირაში ზიარებისათვის მომზადებაც შემსუბუქებულია: მარხვის დაცვა არაა საჭირო, ხორცის მიღება თვით ზიარების წინ დღესაც კი შეიძლება.

იცვლება მისალმების წესიც: აღდგომიდან 40 დღის განმავლობაში ქრისტიანები შეხვედრისას „გამარჯობის“ ნაცვლად ერთმანეთს ახარებენ: „ქრისტე აღსდგა“ - „ჭეშმარიტად!“ „ჭეშმარიტად აღსდგა!“ „ჭეშმარიტად აღსდგა ქრისტე!“

კვირაცხოვლობა ანუ აღდგომის განახლება თომას კვირა



ბრწყინვალე შვიდეული გვირგვინდება კვირიაკით, რომელსაც ეწოდება კვირაცხოვლობა ანუ ახალი კვირა ანუ აღდგომის განახლება.

ეს დღე განახლებაა აღდგომის დღესასწაულის. ამ დღიდან მოყოლებული ყოველი კვირიაკე (კვირა დღე) აღდგომის დღესასწაულია, სწორედ ამიტომ ვიკრიბებით ქრისტიანები კვირაობით ეკლესიაში სადღესასწაულო წირვაზე. ძველი ქრისტიანები ყოველ კვირა დღეს ერთმანეთს სააღდგომო მისალმებით ხვდებოდნენ: „ქრისტე აღდგა!“ - „ჭეშმარიტად!“

კვირაცხოვლობას ეწოდება აგრეთვე თომას კვირა შემდეგი მიზეზის გამო: სახარებაში აღწერილია (იოანე 20, 19-20), თუ როგორ გამოეცხადა აღდგომის დღეს, საღამოს, მაცხოვარი თავის მოწაფეებს და უჩვენა თავისი ჭრილობები, როდესაც ეს შეიტყო თომამ, რომელიც ამ შეხვედრას არ ესწრებოდა, გული დასწყდა და თქვა, სანამ ჩემი თვალით არ ვიხილავ იესოს, არ დავიჯერებ მის აღდგომასო. აღდგომიდან მერვე დღეს, ისევ კვირა საღამოს, მაცხოვარი კვლავ გამოეცხადა მოწაფეებს, ამჯერად თომას თანდასწრებით, უჩვენა ჭრილობები და უთხრა თომას, მოსულიყო და ხელით შეხებოდა. თომა მუხლებზე დაეცა, თაყვანი სცა მაცხოვარს და თქვა: „უფალო ჩემო და ღმერთო ჩემო“. იგი პირველი იყო მოწაფეთა შორის, რომელმაც სრულიად აღიარა იესო ქრისტეს ღმთაებრივი ბუნება. „შენ იხილე და ირწმუნე, თომა, - უთხრა უფალმა - ნეტარ იქნებიან ისინი, ვისაც არ უხილავს და იწამა“.

მაცხოვრის ეს სიტყვები გვეხება ჩვენ, მის შემდგომ ქრისტიანებს. ღმერთმა მოგვმადლოს ეს რწმენა და აღთქმული ნეტარება.

ასე რომ, წინ დიდი სიხარული გველის. ამ სიხარულის განცდას მით მეტად შევძლებთ, რაც უკეთ მოვემზადებით მის შესახვედრად მარხვით და ლოცვით.

უფალო იესო ქრისტე, ჩვენო მეუფევ და ღმერთო, დაგვეხმარე, რომ მოვიკრიბოთ სულიერი თუ ფიზიკური ძალები და შენთან ერთად ავიდეთ გოლგოთის უკანასკნელ აღმართზე, შენთან თანაჯვარსვეცვათ, თანადავეფლათ, რათა შენთანვე აღვდგეთ მკვდრეთით და დავიმკვიდროთ ჩვენთვის განმზადებული საუკუნო ადგილი მარჯვენით ღმრთისა და მამისა; ღმერთო, შენ აცხოვნე სრულიად საქართველო. ამინ.

ჭეშმარიტად აღდგა!

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75
მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: gazetiterjola@mail.ru

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872